ახალციხის მუნიციპალიტეტის
საკონკურსო კომისიის სხდომის
ო ქ მ ი №48

ქ.ახალციხე 27 ივნისი 2012 წ
16:30 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

გელა დემეტრაძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე, ახალციხის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის გამგებელი;

მალხაზ ასპანიძე - საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, ახალციხის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე;

გიორგი გიქოშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე;

მაკა სამსონიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი;

ემზარ მღებრიშვილი- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარები სამსახურის მთავარი სპეციალისტი არქმშენინსპექციის საკითხებში

მანანა ბალიაშვილი - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი –სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში;

გაგა ივანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

დავით ჩაჩანიძე - საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი მშენებლობისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში.

თენგიზ ზედგინიძე- საკონკურსო კომისიის წევრი, ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი;

დღის წესრიგი:

ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ: „ ქ. ახალციხიდან მარდის დასახლების გავლით სოფელ ხაკისა და საძელის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო (მოასფალტების) სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 15 ივნისს 13:23 **საათზე** გამოცხადებულ №555 კონკურსში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარემ გელა დემეტრაძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა , რომ სხდომას მდივნობას გაუწევს საკონკურსო კომისიის წევრი მაკა სამსონიძე.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ მალხაზ ასპანიძემ საკონკურსო კომისიას მოახსენა, რომ ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ ქ. ახალციხიდან მარდის დასახლების გავლით სოფელ ხაკისა და საძელის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო (მოასფალტების) სამუშაოები საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის", კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 15 ივნისს 13:23 **საათზე** გამოცხადებულ №555 კონკურსში ახალციხის მუნიციპალიტეტში საკონკურსო

წინადადება წარმოადგინა ერთმა კონკურსანტმა- შპს „ ავტოგზაპროექტმა“ შემდეგ თანხაზე: 7300 (შვიდი ათას სამასი) ლარი.

განხილვა:

შპს „ ავტოგზაპროექტი“- ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

კომისიამ დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შპს „ ავტოგზაპროექტი“- ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო განცხადებასა და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

2. ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ „ქ. ახალციხიდან მარდის დასახლების გავლით სოფელ ხაკისა და საძელის გზის მონაკვეთის სარეაბილიტაციო (მოასფალტების) სამუშაოები საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის”, კონკურსის საშუალებით შესყიდვის მიზნით, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2012 წლის 15 ივნისს 13:23 **საათზე** გამოცხადებულ №555 კონკურსში საკონკურსო კომისიის წევრთა შეფასებით გამარჯვებულად გამოვლინდეს შპს „ ავტოგზაპროექტი“.

3. დაევალოს საკონკურსო კომისიის წევრს მ. ბალიაშვილს, შპს „ ავტოგზაპროექტი“- ს წერილობითი ინფორმირება და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების მომზადება, გაფორმების შემდეგ ხელშეკრულების ატვირთვა ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

4. საკონკურსო კომისიის წევრს მანანა ბალიაშვილს დაევალოს წინამდებარე ოქმისა და საკონკურსო დოკუმენტაციის, კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ ქსელში განთავსება არაუგვიანეს 2012 წლის 27 ივნისისა.

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე	გ. დემეტრაძე
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე	მ. ასპანიძე
საკონკურსო კომისის მდივანი	მ. სამსონიძე
საკონკურსო კომისიის წევრები	გ. გიქოშვილი
	გ. ივანიძე
	თ. ზედგინიძე
	მ. ბალიაშვილი
	ე. მღებრიშვილი
	დ. ჩაჩანიძე